# პოდაგრა

## შარდმჟავას მტკივნეული კრისტალები



# პოდაგრა (ნიკრისის ქარი)

## მარტივად და გასაგებად

- პოდაგრა  ნივთიერებათა ცვლის მოშლის შედეგად ვითარდება, როდესაც ადამიანის სისხლში შარდმჟავას დონე მკვეთრად იმატებს. სპეციალისტები ამ მდგომარეობას ჰიპერურიკემიას უწოდებენ.

- შარდმჟავა ნივთიერებათა გამოდევნის ნარჩენი პროდუქტია. თირკმელები მას ჯერ სისხლისგან გამოდევნის, შემდეგ კი შარდთან ერთად გამოყოფს.

- ჯანმრთელი ადამიანი შარდმჟავას დონეს მუდმივად აწონასწორებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმში შარდმჟავას თითქმის იგივე რაოდენობა წარმოიქმნება, რამდენიც გამოიდევნება.

- თუ ეს წონასწორობა დაირღვა, შარდმჟავას დონე მკვეთრად მოიმატებს. შედეგად, შეიძლება, შარდმჟავა სისხლში გამოკრისტალდეს ნემსისებრი კრისტალების სახით.

- ეს კრისტალები ლაგდება სახსრების ირგვლივ და იწვევს ძლიერ ტკივილს, ანთებას და შეშუპებას.

- შარდმჟავა კრისტალების ჩალაგების გამო, სახსრები იცვლის ფორმას, იბოჭება და უმოძრაო ხდება. ძირითადად ზიანდება მტევნისა და ტერფის სახსრები.

GE_ADE-01-2020_Gout_V1; Date of approval May 2020